

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის სომხური კოლექციის ორ ხელნაწერში (XIV საუკუნის Ms Arm 130 და 1618 წლით დათარიღებული Ms Arm 48) დაცული „შეთანხმების წერილი“

არმენუი პოდოსიან

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ყარაულაშვილი, ილიაუნის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალიას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის არმენუი პოდოსიანი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

არმენუი პოდოსიანი

თარიღი 26/06/2019წ.

ანოტაცია

სომხურ ლიტერატურაში არსებობს ე.წ. ნატყუარი ტექსტები, სადაც გადმოცემულია ლეგენდარული ისტორიები, რომლებიც სინამდვილეში არ მომხდარა. ამ უკანასკნელი ტიპის ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის ტექსტი, რომლის შემოკლებული პირობითი სათაურია „Դաշակ Թուղթ - შეთანხმების წერილი.“ ეს ნაწარმოები ჩვენამდე მიღწეულია მრავალრიცხოვანი ხელნაწერებითა და რამდენიმე რედაქციით. ტექსტის შემცველი ხელნაწერები ინახება სომხეთის, საქართველოს, საფრანგეთის, ავსტრიის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების ხელნაწერთა საცავებში.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულ ორ ხელნაწერში - Ms Arm 130, დათარიღებული XIV საუკუნით და Ms Arm 48, დათარიღებული 1618 წლით შემავალი „შეთანხმების წერილის“ ტექსტთა დადგენა და არსებულ დიპლომატიურ გამოცემასთან (Pogossian 2010) მისი შეჯერება წარმოადგენს. ამ ტექსტის შედგენას მკვლევართა უმეტესობა XI საუკუნის კილიკიის სომხეთის სამეფოს შექმნასა და XII-XIII საუკუნეებში ლათინთა მხრიდან საეკლესიო ერთობის მიღწევის მცდელობასა და ამ პირობებში სომხური იდენტობის შენარჩუნებისა და სამეფო და საეკლესიო სტატუსის განმტკიცების საკითხებს უკავშირებენ. თავად ტექსტი უცილობლად Donatio Constantini-ს ანალოგიითაა შეთხზული.

ქართულ ხელნაწერთა საცავში დაცულ „შეთანხმების წერილის“ ტექსტებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოადგენენ 2 განსხვავებულ რედაქციას, რომელსაც ჩვენ პირობითად ვრცელი (Ms Arm 130) და მოკლე რედაქციები (Ms Arm 48) ვუწოდებთ. არც ერთი რედაქცია არ იმეორებს პოლოსიანის მიერ დადგენილ ხელნაწერთა ორი ოჯახის რომელიმე ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტს. ვრცელი, Ms Arm 130-ში დაცული ტექსტი, ხასიათდება ხელნაწერთა ორივე ოჯახისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიულ-პალეოგრაფიული თავისებურებებით. Ms Arm 48 ხელნაწერში დაცული მოკლე ტექსტის შემოკლება-მოდიფიცირება, ჩვენი აზრით, შექმნილი უნდა იყოს კილიკიის სომხეთის დაცემის

შემდეგ, როდესაც სომხური სახელმწიფო აღარ არსებობს და, შესაბამისად, ლეგიტიმაციის აქცენტი მთლიანად სომხურ საკათალიკოსოზეა გადატანილი.

Annotation

Armenian classical literature is rich not only with authentic text, but also with forgeries of various kind. Usually, the latter relate legendary stories which had not really happened. One of them is the so-called *Letter of Concord* (*Դաշակոյն Թուղթ*). This text came down to us in numerous manuscripts and several editions. The manuscripts containing it are preserved at the depositories of various countries countries.

In our research we present a comparative study of text of *The letter of Concord* as preserved in two manuscripts kept at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts) (Ms Arm 130, dated to 14th c. and Ms Arm 48, dated to 1618), aiming at establishing their plausible redactional essence by juxtaposing them to the text(s) from the diplomatic edition (Pogossian 2010). Most of the researchers dealing with this narrative think that its emergence should be connected to the establishment of the Armenian Kingdom of Cilicia (11th c.) and to the attempts of Catholic church to achieve the ecclesiastical unity with the Armenians in the course of the 12th-13th centuries. Under these conditions, Armenians were forced to defend their national identity via stressing the high position of their royal house and clergy within the Christian milieu. That was the goal that this text, created in analogy to the *Donatio Constantini*, had to achieve.

The text of *the letter of Concord* from two different manuscripts preserved here is differs from each other. We labeled them as the long (Ms Arm 130) and short (Ms Arm 48) redactions. None of them coincides completely with any text presented in two families of the manuscripts classified by Pogossian.

In our opinion, the long redaction (Ms Arm 130) contains orthographic-paleographic characteristic pertaining to both groups. We think that the shortened-modified text of the short redaction (Ms Arm 48) was composed after the Armenia Kingdom of Cilicia ceased existing. Together with abolishment of the independent Armenian state the need for legitimization was limited and henceforth referred only to the Armenian Church.